ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-610

" 2 " დეკემბერი 2019 წ.

2020 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში განსახორციელებლად საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია 2020 წლის შესახვედრად და დედაქალაქში საახალწლო განწყობის შესაქმნელად სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას გეგმავს, რომლებიც მთავარი ნაძვის ხის ანთების ცერემონიით დაიწყება. ცენტრალური ნაძვის ხე ოფიციალური პირების მონაწილეობით საზეიმო ვითარებაში აინთება. გათამაშდება მინი მუსიკალური სპექტაკლი, რომელშიც მონაწილეობას ცნობილი მომღერლები და მოცეკვავეები მიიღებენ.

პირველი რესპუბლიკის მოედანზე ე.წ. „საახალწლო ქალაქი" მოეწყობა, რომელიც სტუმრებს 2019 წლის 25 დეკემბრიდან 2020 წლის 13 იანვრის ჩათვლით უმასპინძლებს. აღნიშნულ ლოკაციაზე, 20 დღის განმავლობაში, სპეციალურად მოწყობილ სივრცეებში ღონისძიებები ყველა ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებითაა დაგეგმილი. წარმოდგენილი იქნება საბავშვო კონცერტები, სხვადასხვა გასართობი, კულტურული და სპორტული აქტივობები. ჩატარდება თეატრალური წარმოდგენები, სხვადასხვა ბენდების და ესტრადის მომღერლების კონცერტები, ელექტრონული ლაივ-შოუები, მსვლელობები კოსტიუმირებული მსახიობების მონაწილეობით. გაიმართება თეატრალური წარმოდგენა ,,პატარა უფლისწული", რომელიც შექმნილია თეატრის, ქორეოგრაფიის, თანამედროვე ცეკვის და საცირკო ნომრების გამოყენებით. მოეწყობა თემატური ფოტოგადაღების კუთხეები და სახელოსნოები. სტუმრების განწყობას აამაღლებს თოვლის ბაბუა დამხმარე მსახიობებთან ერთად. ორბელიანის მოედანზე განთავსდება სინთეტიკური საციგურაო მოედანი, სხვადასხვა საახალწლო თემატური ინსტალაციები. ყოველდღე გაიმართება ელექტრონული მუსიკის საღამოები.

31 დეკემბერს, თემატურად დეკორირებულ სცენაზე გალა კონცერტი გაიმართება. ყველასთვის საყვარელი სატელევიზიო პროექტი „ერთი-ერთში", რომელიც რამდენიმე სეზონის განმავლობაში მაყურებლის დიდ ინტერესს იწვევდა, გადმოინაცვლებს ქუჩაში, უფრო მასშტაბური სახით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ" და „პ" ქვეპუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და 3^3 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებამდე, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება შეათანხმოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის -

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან და უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვისთვის აუცილებელი სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის მიღებისა და საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემის შემდგომ, დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციას, 2020 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრული დანართის შესაბამისად, საქონლისა და მომსახურების ხარჯების ანაზღაურება განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 და 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

დანართი

2020 შობა-ახალი წლის აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებები				
#	დასახელება	სავარაუდო ბიუჯეტი	განმახორციელებელი სამსახური	პროგრამული კოდი
1	ცენტრალური ნაძვის ხის ანთება	209,000.00	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახური	02 07
2	საახალწლო გალა კონცერტი	465,000.00	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახური	02 07
3	საახალწლო გალა კონცერტის დეკორაცია და რეკვიზიტები	196,000.00	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახური	02 07
4	მუსიკალური საკონცერტო პროგრამა - სხვადასხვა ჟანრის კონცერტები; ბენდების კონცერტები; ელექტრონული მუსიკის შემსრულებლები (დიჯეები)	509,000.00	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახური	02 07
5	საახალწლო ქალაქის სხვადასხვა აქტივობები - თოვლის ბაბუა დამხმარე მსახიობებთან ერთად; კოსტიუმირებული მსახიობები; ილუზიონისტების, ჯამბაზების, დრამერების, სასულე ორკესტრის წარმოდგენა; კინოთეატრი; საახალწლო თემატური ფოტოზონები და ინსტალაციები; საბავშვო კონცერტები, ზღაპრის გმირები, ვორქშოფები; თეატრალიზებული წარმოდგენა - "პატარა პრინცი"	617,000.00	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია; ღონისძიებათა უზრუნველყოფის სამსახური	02 07
	ჯამი	1,996,000.00		